



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N 82

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

#### **ბანცურ-ცხვედიათის საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ბანცურების და ცხვედიათის დამაკვშირებელი საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების დროული განხორციელება სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისთვის. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი (SPA 150022047) არ შედგა.

ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია მძიმე ვითარება. ახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება კი საჭიროებს სატენდერო პროცედურების დაცვა, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. ზამთრის სეზონის მოახლოებისა და კლიმატური პირობების მოსალოდნელი გაუარესების გამო, შეუძლებელი გახდება ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შექმნილ ვითარებას გამეოზა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილობლობას და ითხოვს თანხმობას, რათა ზემოაღნიშნული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, სახელწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ბანცურების და ცხვედიათის დამაკვშირებელი საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოების განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით, 25 115 (ოცდახუთი ათას ას თხუთმეტი) ლარზე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.